



FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს ENPARD III ფარგლებში დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

GCP/GEO/011/EC

საგრანტო სახელმძღვანელო

მარტი 2022

მეხუთე საგრანტო ციკლი

ხორციელდება FAO-ს მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციის შინაარსი არის FAO-ს პასუხისმგებლობა და არ გამოხატავს ევროკავშირის მოსაზრებებს.

ამ გამოცემაში გამოყენებული სახელწოდებები და მასალა არ გამოხატავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის განვითარების სტატუსის, ტერიტორიის, ქალაქის ან მისი ხელისუფლების მასშტაბების, ან მისი საზღვრების დელიმიტაციის შესახებ. ამ დოკუმენტში კომპანიების ან კომპანიების მიერ ნაწარმოები პროდუქციის ხსენება, მიუხედავად იმისა დაპატენტებულია ის თუ არა, არ გულისხმობს, რომ ისინი რეკომენდირებულია FAO-ს მიერ, ან რომ მათ FAO უპირატესობას ანიჭებს სხვა მსგავსი შინაარსის მქონე, ისეთ ნაწარმთან ან კომპანიებთან შედარებით, რომლებიც არ არიან ნახსენები ამ დოკუმენტში.



სარჩევი

| | |
|---|-----|
| გამოყენებული ტერმინების განმარტება:..... | 3 |
| 1. შესავალი | 5 |
| 2. საგრანტო კომპონენტის აღწერა და დასაშვები კრიტერიუმი | 6 |
| 2.1. საგრანტო კომპონენტის აღწერა | 6 |
| 2.2. ღირებულებათა ჯაჭვის შეზღუდვები..... | 7 |
| 2.3. განმცხადებლების შესარჩევი კრიტერიუმები | 7 |
| 2.4. დასაშვები ინვესტიციები..... | 9 |
| 2.4.1 კაპიტალური ხარჯები:..... | 9 |
| 2.4.2. ოპერაციული ხარჯები: | 9 |
| 3. ზოგადი პრინციპები და საინვესტიციო მხარდაჭერის ზღვარი | 10 |
| 4. განაცხადების მიღების პროცესი:..... | 11 |
| I ფაზა: რეგისტრაცია..... | 13 |
| II ფაზა: განაცხადების ფორმულირება..... | 133 |
| III ფაზა: განაცხადების პირველადი შერჩევა..... | 144 |
| IV ფაზა: განაცხადების შერჩევა | 176 |
| V ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების შემუშავება და ხელმოწერა | 187 |
| VI ფაზა: გრანტის გადახდა..... | 209 |
| VII ფაზა: ეტაპობრივი მიღწევები და ინვესტიციის შეფასების ვიზიტები..... | 20 |
| VIII ფაზა: მონიტორინგი და პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესახებ შეფასების ვიზიტები..... | 20 |



გამოყენებული ტერმინების განმარტება:

- თანამონაწილეობითი გრანტი: FAO-ს მიერ გაწეული საინვესტიციო მხარდაჭერა, ტექნიკა-დანადგარების შესაძენად.
- თანამონაწილეობითი კონტრიბუცია: ტექნიკის შესაძენად, გრანტის მიმღების კონტრიბუცია.
- საგრანტო ციკლი: განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაში FAO მიიღებს საგრანტო განაცხადებს.
- საგრანტო განაცხადი: განაცხადი, რომელიც მოიცავს რომელიც მოიცავს საგრანტო განაცხადის ფორმას და ყველა საჭირო დამხმარე დოკუმენტს.
- საგრანტო ხელშეკრულება: FAO-სა და გრანტის მიმღებს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც ასახავს საინვესტიციო მხარდაჭერას, გრანტის მიმღების ვალდებულებებსა და ხელშეკრულების ზოგად დებულებებს.
- პროგრამის პლატფორმა: ელექტრონული პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს მთავარ დამაკავშირებელ რგოლს განმცხადებელსა და FAO-ს შორის. ყველა საგრანტო განაცხადი აიტვირთება პლატფორმაზე.
- პერსონალური ფაილი: დაცული ინდივიდუალური ფაილი პროგრამის პლატფორმაზე, სადაც განმცხადებელს შეუძლია ატვირთოს თავისი საგრანტო განაცხადი.
- ტექნიკური შეფასება: FAO-ს ან მისი განმახორციელებელი პარტნიორის მიერ საგრანტო განაცხადების ტექნიკური მიმოხილვა, რომელიც ანალიზებს შემოთავაზებული საინვესტიციო მხარდაჭერის ზოგად ხედვას და კრიტერიუმებთან შესაბამისობას.
- სავერიფიკაციო საკონტროლო ვიზიტი: FAO-ს ან მისი განმახორციელებელი პარტნიორის მიერ განმცხადებლის საკუთრების საველე დათვალიერება, საგრანტო განაცხადში მოცემული ძირითადი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით.
- აპლიკაციების განხილვის კომიტეტი: დამოუკიდებელი კომიტეტი, რომელიც შედგება FAO-ს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისა და ევროკავშირის დელეგაციის თითო-თითო წარმომადგენლისგან, რომლებიც იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას, ინვესტიციის გაცემის შესახებ.
- ინვესტიციის განხორციელების გეგმა: დეტალური ვადები, რომელიც ასახავს სხვადასხვა აქტივობებსა და ნაბიჯებს, საინვესტიციო მხარდაჭერის განსახორციელებლად.
- განსაკუთრებულად წახალისებული ინვესტიცია: პროგრამის მიერ განსაკუთრებულად მხარდაჭერილი ინიციატივები, სპეციფიკური სტიმულირების გზით.
- ლიდერი მუნიციპალიტეტები: თავდაპირველად შერჩეული, საქართველოს, რვა სამიზნე მუნიციპალიტეტი, რომელიც სპეციალურად იყო განსაზღვრული ENPARD



პროგრამის ფარგლებში მხარდასაჭერად: ახალქალაქი, ბორჯომი, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, ქედა, ხულო, ლაგოდეხი და თეთრიწყარო. სხვა მუნიციპალიტეტები, რომლებიც მოგვიანებით დაემატა ENPARD-ის პროგრამას, არ არის გათვალისწინებული ამ სახელმძღვანელოში.



1. შესავალი

აღნიშნული საგრანტო სახელმძღვანელო აღწერს იმ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ პროცედურებს, რომლებიც გამოყენებული იქნება თანამონაწილეობით საგრანტო პროცესში. აღნიშნული საგრანტო კომპონენტი ხორციელდება პროგრამის “FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს ENPARD III”-ის ფარგლებში.

პროექტის მიზანია ფერმერი ქალბატონებისა და მამაკაცების, მცირე და საშუალო აგრობიზნესების გაძლიერება, სათანადო მხარდამჭერი ღონისძიებების გატარების გზით, რაც საშუალებას მისცემს მათ ჰქონდეთ წვდომა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებზე, ტექნოლოგიებზე, ცოდნაზე, ფინანსებსა და ბაზრებზე, რომლებსაც ისინი ახორციელებენ ღირებულებათა ჯაჭვში, წარმოებიდან პროდუქციის კომერციალიზაციამდე.

ამასთან დაკავშირებით, პროგრამა უზრუნველყოფს ინდივიდუალური ფერმერების, კოოპერატივების, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერას სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში, რათა გაიზარდოს სასოფლო სამეურნეო აქტივობების კონკურენტუნარიანობა მუნიციპალურ დონეზე. საინვესტიციო მხარდაჭერა, პირველ რიგში ითვალისწინებს კერძო სექტორის წარმომადგენლების წახალისებას, რათა აქტიურად განახორციელონ თავიანთი საბაზრო როლები. საჯარო სექტორის ჩარევა განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ბაზარზე კერძო მოთამაშეები ვერ ახორციელებენ თავიანთ საბაზრო როლებს. ENPARD III პროექტის ფარგლებში, FAO-ს საინვესტიციო მხარდაჭერა პირდაპირი ბენეფიციარების მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება საგრანტო კომპონენტის ფარგლებში.

მოცემული საგრანტო ციკლი, ისევე როგორც წინა ციკლები, განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ჯილდოების მეშვეობით. ჯილდო გულისხმობს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ ბენეფიციარისათვის გაცემულ არაფულად ჯილდოს, წინასწარ განსაზღვრული მიმწოდებლის მეშვეობით, რომლის გამოყენებაც დარეგულირდება ბენეფიციარის საგრანტო ხელშეკრულების მიერ. შერჩევის პროცესში, ბენეფიციარები, როგორც წესი, არჩევენ საქონელს/აქტივებს, რომელთა მიღებაც სურთ, ისევე როგორც მიმწოდებელს, რომლისგანაც სურთ მიიღონ კონკრეტული საქონელი/აქტივები. შერჩევის შემდეგ, ბენეფიციარები უხდიან თავიანთ კონტრიბუციას მიმწოდებელს, რომელიც გასცემს საქონელს/აქტივს. FAO ადასტურებს გაცემას და შემდეგ იხდის დანარჩენ ღირებულებას.



შერჩევის პროცესში გათვალისწინებული ყველა მიმოხილვა და საველე ვიზიტი განხორციელდება FAO-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მის მთავარ განმახორციელებელ პარტნიორთან Cultivating New Frontiers in Agriculture (CNFA) თანამშრომლობით, რომელიც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციას და ის შერჩეული იქნა პროგრამის დასაწყისში FAO-ს მიერ ჩატარებული გამჭვირვალე ტენდერის გზით.

მოსალოდნელია, რომ პროექტის საქმიანობა დადებითად აისახება საქართველოში სურსათის წარმოებასა და სოფლად სიღარიბის აღმოფხვრის პარამეტრებზე. მოცემულ საგრანტო ციკლის ფარგლებში პროექტი სავარაუდოდ მხარს დაუჭერს 150 პროექტს, 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტების გაცემის ხარჯზე. თუმცა, მოცემული ციკლის ფინანსური ფარგლები შესაძლოა შეიცვალოს პროექტის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსების შესაბამისად.

პროექტი დაფინანსებულია ENPARD-ის მესამე ფაზის ფარგლებში და დაფუძნებულია FAO-სა და სხვა პარტნიორების მიერ განხორციელებული ENPARD I-სა და ENPARD II-ის ფაზების პროექტების შედეგებზე.

2. საგრანტო კომპონენტის აღწერა და დასაშვები კრიტერიუმი

2.1. საგრანტო კომპონენტის აღწერა

ENPARD III პროგრამის ფარგლებში FAO-ს მხარდაჭერა ითვალისწინებს გრანტებს ინდივიდუალური ფერმერებისთვის, კოოპერატივებისთვის, მცირე და საშუალო მეწარმეთათვის, ინვესტიციების წახალისებისა და ახალი ბიზნეს შესაძლებლობების შექმნის მიზნით, შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მიზნობრივი სასოფლო-სამეურნეო ღირებულების ჯაჭვების კვალდაკვალ.

მოცემულ საგრანტო ციკლში, პროგრამით დაფინანსებული ყველა საინვესტიციო აქტივობა უნდა მდებარეობდეს ENPARD-ის 8 მიზნობრივი მუნიციპალიტეტიდან ერთ-ერთში, გარდა საპილოტე პროექტისა გორში, რომლის შესახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია პროგრამის [ვებ-გვერდზე](#).

8 ლიდერი მუნიციპალიტეტი:

- ლაგოდეხი, კახეთი
- დედოფლისწყარო, კახეთი
- თეთრიწყარო, ქვემო ქართლი
- ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთი
- ბორჯომი, სამცხე-ჯავახეთი



- ყაზბეგი, მცხეთა-მთიანეთი
- ქედა, აჭარა
- ხულო, აჭარა

2.2. ღირებულებათა ჯაჭვის შეზღუდვები

პროგრამა მოიცავს შერჩეულ ინვესტიციებს კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში. მოცემული ინვესტიციები შესაძლოა, ასევე, შეზღუდული იყოს ღირებულებათა ჯაჭვების მიხედვით. გთხოვთ, ეწვიოთ პროგრამის [ვებ-გვერდს](#) შერჩეული დასაშვები ინვესტიციების და მათი შესაბამისი მოთხოვნების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის.

პროგრამის განხორციელების დროს შესაძლებელია შეიცვალოს ან გაიზარდოს შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვის სია.

2.3. განმცხადებლების შესარჩევი კრიტერიუმები

პროგრამის სამიზნე ბენეფიციარებს წარმოადგენენ ინდივიდუალური ფერმერები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ინდივიდუალურ მეწარმეებად, კოოპერატივები (მინიმუმ, 12 თვიანი რეგისტრაციის მქონე), მცირე და საშუალო მეწარმეები (მფლობელთა უმრავლესობა საქართველოს მოქალაქე).

თანადაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად (მაგალითად, თანამონაწილეობითი გრანტი) განმცხადებლები უნდა აკმაყოფილებდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ყველა მომავალ გრანტიორს მოეთხოვება იურიდიული რეგისტრაცია, როგორც ინდივიდუალური მეწარმის, მცირე და საშუალო ბიზნესის, კოოპერატივის, ან მათ კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა იურიდიული სტატუსის სახით.
- ფერმერები უნდა იყვნენ დარეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმეებად, რათა მიიღონ გრანტი. ფერმერებს, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ინდივიდუალურ მეწარმეებად, შეუძლიათ განაცხადის წარდგენა, თუმცა, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე მათ მიეცემათ ორი კვირა იმისათვის, რომ დარეგისტრირდნენ ინდივიდუალურ მეწარმეებად.
- პროგრამაში მონაწილე ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. ყველა განმცხადებელმა უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები, როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი განაცხადის ფორმაში.
- პროგრამაში მონაწილე იურიდიული პირებისთვის, კომპანიის უმეტესი წილის მფლობელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე (50%-ზე მეტი).
- იურიდიული პირების (კომპანიების ან კოოპერატივების) განცხადებები უნდა იყოს წარდგენილი ორგანიზაციის კანონიერი წარმომადგენლის ან ისეთი პირის მიერ,



რომელიც უფლებამოსილია განაცხადოს ორგანიზაციის სახელით ხელმოწერილი მინდობილობის საფუძველზე.

- ყველა მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც მოითხოვს თანამონაწილეობით გრანტს, პროექტის დამტკიცებიდან ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთი თვის ვადაში, უნდა დარეგისტრირდეს შემოსავლების სამსახურში და მოიპოვოს საგადასახადო ნომერი.
- განმცხადებლები არ უნდა იყვნენ გაკოტრებული, ლიკვიდირებული და სასამართლოსთან დავაში მყოფნი.
- განმცხადებლებს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე სახის დავა შემოსავლების სამსახურთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ან სხვა შესაბამის ორგანოებთან.
- განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო თანაინვესტირების შესაძლებლობის მტკიცებულება.
- განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ კაპიტალის ან/და სხვა აქტივების გამოყენების მტკიცებულება (ფიზიკური, იურიდიული), რომლებიც გამოყენებულია თავიანთ საინვესტიციო გეგმებში, მაგ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შენობა, აპარატურა, შრომა, უნარი და ა.შ; ყველა მიწა, რომელიც განიხილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, უნდა იყოს საკუთრებაში ან იჯარით აღებული განაცხადის წარდგენის თარიღამდე, მინიმუმ 3 თვით ადრე.
- კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა უზრუნველყონ მაღალი ეთიკური და ბიზნესის სტანდარტების დაცვა, მათ შორის უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალობა საქმიანი ურთიერთობებით, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, საქმიანობის აღრიცხვის წარმოების ნებისმიერი ფაქტობრივი გამოვლენით.
- განმცხადებლებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაეროს მიერ აკრძალულ საქმიანობაში; არ უნდა იყვნენ FAO-ს პერსონალის პირდაპირი ნათესავი (მეუღლე, შვილი, მშობელი ან ძმა / და) ან FAO-ს პარტნიორი ორგანიზაციის/FAO განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლები.
- განმცხადებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტი და დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს FAO-ს ნებისმიერი ისეთი სიტუაციის შექმნის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი. მათ შორის: FAO-ს ნებისმიერი პერსონალი, ნებისმიერი ინდივიდუალური პირი ან ობიექტი, რომელიც მონაწილეობს საგრანტო პროცესში, რომელსაც აქვს კავშირი განაცხადთან, ტექნიკურ შემოწმებასთან, შერჩევასთან, მონიტორინგთან, გადახდასთან ან სხვა კომპონენტთან. ასევე, FAO-ს კონტრაქტორი პარტნიორის პერსონალი, რომელსაც აქვს ნებისმიერი სახის ინტერესი განმცხადებლის საქმიანობაში.
- განმცხადებელს, მოცემული პროგრამის წინა ეტაპების ფარგლებში, არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი გრანტი მიღებული, რაც ერთი განმცხადებლის მიერ მიღებულ საერთო გრანტების მაქსიმუმ რაოდენობას ზღუდავს ორამდე. გარდა ამისა, მთლიანი



პროგრამის ფარგლებში მიღებული საგრანტო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150,000 აშშ დოლარის ზღვრებს. თუკი, პირველად მიღებული თანამონაწილეობრივი გრანტი გადახდილი იყო საბანკო სესხის საშუალებით, გრანტის მიმღებს მოეთხოვება წარუდგინოს FAO-ს საბანკო დასტური, სესხის წარმატებით დაფარვის შესახებ.

2.4. დასაშვები ინვესტიციები

მოცემული საგრანტო ციკლი, ისევე როგორც წინა ციკლები, განხორციელდება მომწოდებლის მიერ მიწოდებული ჯილდოების მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაში, აღჭურვილობისა და მანქანების შეძენა უნდა განხორციელდეს FAO-ს მიერ წინასწარ შერჩეული მომწოდებლების ჩამონათვალიდან. ნებისმიერი პირდაპირი კავშირი განმცხადებელსა და შემოთავაზებულ მომწოდებლებს შორის მკაფიოდ უნდა იყოს გამჟღავნებული საგრანტო განაცხადში. მოცემული პირობის შეუსრულებლობა გამოიწვევს განაცხადის უარყოფას.

2.4.1 კაპიტალური ხარჯები¹:

მოცემულ საგრანტო ციკლში, მხოლოდ გარკვეული კაპიტალური ხარჯები განიხილება დასაშვებ ინვესტიციად. მოცემულ საგრანტო ციკლის ფარგლებში დასაშვები ინვესტიციებისა და მომწოდებლების დეტალური ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ პროგრამის [ვებ-გვერდზე \(www.faogrants.ge\)](http://www.faogrants.ge).

2.4.2. ოპერაციული ხარჯები²:

ოპერაციული ხარჯები არ ექვემდებარება არც საგრანტო კონტრიბუციის გაანგარიშებას და არც აპლიკანტის საგრანტო კონტრიბუციას. ინვესტიციების უფლებამოსილების გადახედვა განხორციელდება ყოველ აპლიკანტზე ინდივიდუალურად FAO-ს ტექნიკური ჯგუფის მიერ. ყველა მოწოდებული დოკუმენტაცია, მათ შორის მოწოდებული განფასება შემოწმდება. მოცემულ პირველადი გადახედვის დროს, შეუსაბამობის შემთხვევაში (მაგალითად, არარეალისტური ფასები ან სხვა მიუღებელი ხარჯები), განმცხადებელს მოეთხოვება ბიუჯეტის შეცვლა და FAO-ს ფინანსური წვლილი შემცირდება შესაბამისად. ამგვარად, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს რეალისტურ და რენტაბელური ბიუჯეტი.

¹ კაპიტალური ხარჯები: ინვესტიცია ფიქსირებული აქტივების შესაძენად. ინვესტიცია განიხილება კაპიტალურ დანახარჯად, როდესაც ეს აქტივი ახლად შეძენილია ან ფული გამოიყენება არსებული აქტივის საექსპლუატაციო ვადის გასახანგრძლივებლად, მაგალითად სახურავის შეკეთება.

² საოპერაციო ხარჯი არის ხარჯი ბიზნესის გაზრდისთვის, ნორმალური ბიზნეს საქმიანობის მეშვეობით.



3. ზოგადი პრინციპები და საინვესტიციო მხარდაჭერის ზღვარი

შემოთავაზებული საინვესტიციო საქმიანობა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებული, უნდა მოიცავდეს შერჩეულ ადგიურეულობას, უნდა ჰქონდეს პოზიტიური გავლენა შერჩეული მუნიციპალიტეტებზე და უნდა იყოს ტექნიკურად გამართული. თანადაფინანსების კონტრიბუციის მოთხოვნები განსაზღვრავს ბენეფიციარის მზაობას უზრუნველყოს პროექტის ფინანსური განხორციელება. პროგრამის მიხედვით ბენეფიციარებმა უნდა უზრუნველყონ მთლიანი ინვესტიციის მინიმუმ 60%-ის თანადაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული განსაკუთრებულად წახალისებული ინვესტიციებისთვის შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს დამატებითი ფინანსური ან ტექნიკური დახმარება. FAO-ს მიერ გაწეული, მაქსიმალური თანამონაწილეობა შეიძლება გაიზარდოს მთლიანი საინვესტიციო ღირებულების 60%-მდე. თუმცა, დამატებითი წახალისება იწვევს ბენეფიციართა მხრიდან დამატებით შეზღუდვებსა და ვალდებულებებს. დამატებითი დეტალებისთვის, გთხოვთ, პროგრამის [ვებ-გვერდზე](#) იხილოთ განსაკუთრებულად წახალისებული ინვესტიციების ჩამონათვალი და მასთან დაკავშირებული მომწოდებლების სია.

მოთხოვნილი წვლილი რომელიც იქნება FAO-ს მხრიდან უზრუნველყოფილი არ უნდა იყოს 1,000 დოლარზე ნაკლები, რათა განაცხადი კვალიფიცირდეს მისაღებად.

მოთხოვნილი მხარდაჭერა არ უნდა აღემატებოდეს ინვესტიციის ზღვარს და მაქსიმალურ კონტრიბუციას, რომელიც FAO-ს მიერ იქნება უზრუნველყოფილი, როგორც აღწერილია მოცემულ ცხრილში:

| ბენეფიციარი | FAO-ს მიერ უზრუნველყოფილი ინვესტიციის მაქსიმალური კონტრიბუცია (%-ში) | | ინვესტიციის მხარდაჭერის ზღვარი (დოლარი) |
|---------------------------|--|--|---|
| | სტანდარტული ინვესტიც | მიზნობრივი ინვესტიცია (როგორც ეს აღწერილია პროგრამის ვებგვერდზე) | |
| ყველა ტიპის ბენეფიციარები | 40% | 60% | მინიმუმ 1.000 დოლარი |



პროგრამა ითვალისწინებს ფულად სახსრებს ან ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემულ ფინანსურ გარანტიებს, რომლებიც იქნება გამოყენებული საინვესტიციო გეგმებში აპლიკანტის წვლილის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად. არაფულადი კონტრიბუცია (როგორცაა შრომა, მიწა, აღჭურვილობა და ა.შ.) ან დონორების დაფინანსება (დაფინანსების ერთიანი წესი) არ შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებლის კონტრიბუციად. დაფინანსების ერთიანი წესის გამონაკლისს წარმოადგენს სოფლის განვითარების სააგენტოსგან (RDA) მიღებული „შელავათიანი აგროკრედიტი“³ პროგრამა, რომელიც სუბსიდირებას უწევს დაკავშირებული სესხის საპროცენტო განაკვეთს და ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბენეფიციარის მიერ გადახდილი კონტრიბუციის დასაფარად. ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ ალტერნატიული ფინანსური წყაროები, რათა დაფარონ ისეთი ტიპის ხარჯები, რომლებიც არ შეესაბამება საინვესტიციო კატეგორიას.

ყველა თანამონაწილეობრივი გრანტი უნდა განხორციელდეს პროგრამის დასრულებამდე მინიმუმ სამი თვით ადრე.

შენიშვნა: ყველა განმცხადებელს ევალება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაბამისი გადასახადის / მოსაკრებლის გადახდა.

4. განაცხადების მიღების პროცესი:

ყველა აპლიკაცია უნდა იყოს წარდგენილი პროგრამის ვებ-გვერდის მეშვეობით:
www.faogrants.ge

განაცხადების მიღების ბოლო ვადები გამოცხადდება მოცემული საგრანტო სახელმძღვანელოსგან დამოუკიდებლად და გამოქვეყნდება პროგრამის ვებ-გვერდზე, განაცხადების მომზადებისა და წარდგენის პირობებთან ერთად.

განაცხადების მიღების შემუშავდება და გამოცხადდება FAO-ს მიერ, განმახორციელებელ პარტნიორთან თანამშრომლობით.

განაცხადების მისაღებად მითითებული იქნება:

- სად იქნება ხელმისაწვდომი პროექტის შესახებ ინფორმაცია (ვებ-გვერდი, საინფორმაციო ბროშურა, ა.შ);

³ “შელავათიანი აგროკრედიტი” არის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს სოფლის განვითარების სააგენტო. მისი მთავარი მიზანია სოფლის მეურნეობის პროექტების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობით დაინტერესებული მხარეებისთვის იაფი, ხელმისაწვდომი გრძელვადიანი და შეღავათიანი სახსრების მიწოდების გზით.



- კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად;
- გეოგრაფიული შეზღუდვები, პრიორიტეტული ღირებულების ჯგუფები, ასევე, საჭიროებისამებრ, სპეციალურად წახალისებული ინვესტიციები;
- რელევანტურობის შესაბამისად, ბენეფიციარისთვის მხარდაჭერის მაქსიმალური ოდენობა;
- განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა და წესები;
- როგორ და სად მოითხოვოთ მხარდაჭერა განაცხადების ჩამოყალიბებაში.

განაცხადის მიღების შესახებ ინფორმაცია გავრცელდება განმახორციელებელი პარტნიორების ჩართულობით, FAO-სთან შეთანხმებული ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიის შესაბამისად. მოცემულმა საინფორმაციო კამპანიამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის სამართლიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში, განაცხადის მიღების დაწყებამდე. ამისათვის, დაცული უნდა იყოს მინიმუმ ხუთი დღის ვადა, საინფორმაციო კამპანიიდან განაცხადების მიღების დაწყებამდე, რათა განმცხადებლებს მიეცეთ საკმარისი დრო განაცხადის მომზადებისთვის და ამავდროულად მოხდეს განმახორციელებელი პარტნიორის მიერ მიღებული ყველა საინფორმაციო აქტივობის დასწრების სიების გადამოწმება. დროის ამ მონაკვეთში, FAO მოაწვობს გამოკითხვას, რათა დაადასტუროს საინფორმაციო კამპანიის წარმატებით განხორციელება, ხოლო ინფორმაციის სამართლიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში.

განაცხადების მიღება მოხდება 2022 წლის 15 ივნისამდე, თუმცა ციკლი შესაძლოა დაიხუროს უფრო ადრე, იმ შემთხვევაში თუკი მიღებული განაცხადების რაოდენობა გადააჭარბებს პროექტის ხელმისაწვდომ ბიუჯეტს.

საგრანტო განაცხადები გაივლის ტექნიკური შეფასების ეტაპს პლატფორმაზე წარმოდგენილი წარდგენის თარიღისა და თანხების ხელმისაწვდომობის შესაბამისად.

მოუხედავად იმისა, რომ განაცხადების განხილვის კომისია იღებს ფინანსური დახმარების გაცემის საბოლოო გადაწყვეტილებას, FAO-მ შესაძლოა უარყოს განაცხადი ნებისმიერ ეტაპზე, იმ შემთხვევაში თუკი განაცხადი არის არასრული, ტექნიკურად შეუსაბამო ან დაუსაბუთებელი. განაცხადის ტექნიკური ადეკვატურობა შეფასდება FAO-ს შიდა ექსპერტების მიერ.

უარყოფის შემთხვევაში:

- განმცხადებელი მიიღებს წერილობით ახსნა-განმარტებას, განაცხადის უარყოფის შესახებ.
- საინფორმაციო შეტყობინება მოიცავს განმარტებებს იმ ძირითადი მიზეზების შესახებ, რამაც გამოიწვია უარი და შესაბამის დასაბუთებულ ციტატას საგრანტო სახელმძღვანელოდან.



I ფაზა: რეგისტრაცია

- ყველა განმცხადებელი უნდა დარეგისტრირდეს პროგრამის [ვებ-გვერდზე](#) და შექმნას პროფილი.
- რეგისტრაციისთვის, განმცხადებლებს მოეთხოვებათ პროფილის ინფორმაციის შევსება, პირადი ნომრის, საკონტაქტო ინფორმაციისა და სხვა მონაცემების მითითება.
- რეგისტრაციის გავლის შემდეგ, განმცხადებლები მიიღებენ საიდენტიფიკაციო ნომერს პლატფორმაზე პირად ფაილებზე წვდომისათვის.

შედეგ: განმცხადებელმა შექმნა დაცულ პლატფორმაზე პროფილი, წვდომისათვის საჭირო კოდებით.

II ფაზა: განაცხადების ფორმულირება

- საგრანტო განაცხადის აპლიკაციის ფაილის შექმნისთვის საჭიროა პლატფორმაზე შესვლა.
- განაცხადები უნდა მომზადდეს უშუალოდ პროგრამის ვებ-გვერდზე და ყველა საჭირო დამხმარე დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოთ ელექტრონულად. იმისთვის რომ განაცხადი ჩაითვალოს წარდგენილად, აპლიკაცია უნდა შეიცავდეს ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას და დამადასტურებელ დოკუმენტს.
- განმცხადებელს მოეთხოვება საგრანტო განაცხადის მომზადება, რომელიც შეიცავს თხრობით ნაწილს, სადაც ნათლად უნდა იყოს განმარტებული ინვესტიციის სტრატეგია და მიზნები. განაცხადში უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია განმცხადებლის ბიზნესის შესახებ. აგრეთვე, გრანტის მოთხოვნისთვის შერჩეული აღჭურვილობისა და მომწოდებლების დეტალები.
- ბოლოს, განაცხადის წარდგენის გადამოწმების მიზნით, განმცხადებლებს მოეთხოვებათ ატვირთონ დამხმარე დოკუმენტები. დამხმარე დოკუმენტების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ პროგრამის [ვებ-გვერდზე](#).
- განმცხადებლებს შეუძლიათ განმახორციელებელი პარტნიორისგან მოითხოვონ დახმარება მათი განაცხადების შესავსებად. მუნიციპალიტეტების მიხედვით რეგიონალური კოორდინატორების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია პროგრამის [ვებ-გვერდზე](#).
- განაცხადის მიღების ვადის შემდგომ შევსებული განაცხადი აღარ განიხილება.
- განმცხადებელს მხოლოდ ერთი განაცხადის შევსება შეუძლია თითოეული სააპლიკაციო ციკლისას, მიუხედავად იმისა ინდივიდუალური იქნება ის თუ ერთობლივი. თუკი, ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ ერთზე მეტი განაცხადი იქნება შევსებული ინდივიდუალურად თუ ერთობლივად წარდგენილი ჯგუფის სახით, ამ განმცხადებლის ყველა აპლიკაცია იქნება უარყოფილი.
- განმცხადებელს არ უნდა ჰქონდეს ერთზე მეტი გრანტი მიღებული, მოცემული პროგრამის წინა ეტაპების ფარგლებში, რაც საერთო გრანტების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაძლოა მიიღოს განმცხადებელმა, ზღუდავს 2-მდე. გარდა



ამისა, კონკრეტულ პერიოდში, მხოლოდ ერთი თანამონაწილეობითი გრანტი შეიძლება გაიცას ერთი ბენეფიციარისათვის.

- წარდგენის შემდეგ, განაცხადი მიიღებს ოფიციალურ დამადასტურებელ ცნობას, რომელშიც მითითებული იქნება განაცხადის სერიული ნომერი. დასტურის მიღება მოხდება ელექტრონულად (მაგ. დასტურის ელ.ფოსტა).
- განაცხადის გაგზავნის შემდგომ, აპლიკანტი ვერ შეძლებს განაცხადის გაქუმებას ან შეცვლას. თუმცა, FAO-ს შეუძლია მოითხოვოს განმარტებები არასრული ან გაუგებარი ინფორმაციის შემთხვევაში. განაცხადები, რომლებიც არ შეიცავს პლატფორმაზე მოთხოვნილ ყველა ელემენტსა და დამხმარე დოკუმენტს, შეიძლება უარყოფილი იქნეს.
- განაცხადები, რომლებიც არ არის შევსებული და არ შეიცავს პროგრამულ პლატფორმაზე მოთხოვნილ ყველა დოკუმენტს შეიძლება იქნას უარყოფილი.
- კომპანიების ან კოოპერატივების განაცხადები უნდა იყოს წარდგენილი ორგანიზაციის კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

შედეგი: განმცხადებელმა შეავსო საგრანტო განაცხადი და მასთან დაკავშირებული ყველა დამხმარე დოკუმენტი პლატფორმაზე.

III ფაზა: განაცხადების პირველადი შერჩევა

განაცხადების ტექნიკური შეფასება განხორციელდება შესაბამისი სამუშაო პროცესის მიხედვით:

- განმცხადებლის პროგრამასთან შესაბამისობისა და ბიუჯეტის შემოწმება
- განაცხადში წარდგენილი დამხმარე დოკუმენტების წინასწარი შემოწმება
- საველე ვიზიტი განაცხადში მოცემული ინფორმაციის დასადასტურებლად
- პროექტის ტექნიკური შეფასება FAO-ს განმახორციელებელი ერთეულის მიერ

განმცხადებლის პროგრამასთან შესაბამისობისა და ბიუჯეტის შემოწმება:

- განაცხადის წარდგენისთანავე, FAO შეამოწმებს განაცხადში წარდგენილ ბიუჯეტსა და განაცხადის პროგრამასთან შესაბამისობას. თუკი საჭირო გახდება ცვლილების შეტანა, FAO დაუკავშირდება განმცხადებელს და შესთავაზებს ცვლილებებს, რათა დარწმუნდეს, რომ განაცხადი შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს. მოცემული გადამოწმება შემოიფარგლება მხოლოდ პროგრამასთან შესაბამისობისა და ბიუჯეტის გადამოწმებით და არ წარმოადგენს, არავითარ გარემოებაში, FAO-ს ვალდებულებას ფინანსურად დაეხმაროს განაცხადებელს პროექტის განხორციელებაში.

დამხმარე დოკუმენტების წინასწარი შემოწმება:



- ბიუჯეტის წინასწარი შემოწმების შემდეგ, FAO ან მისი განმახორციელებელი პარტნიორი („IP“) მოახდენს მიღებული დამხმარე დოკუმენტაციის წინასწარ შემოწმებას.

სავერიფიკაციო საველე ვიზიტი:

- თუკი განაცხადი პროგრამის მოთხოვნების შესაბამისია და მიღებულია ყველა დამხმარე დოკუმენტი, FAO-ს ან მისი განმახორციელებელი პარტნიორის მიერ ჩატარდება საველე ვიზიტი, რათა უზრუნველყოს, რომ:

| | დასკვნა | კომენტარი |
|---|----------|-----------|
| ინფრასტრუქტურა შეესაბამება კომერციულ საქმიანობას | დიახ/არა | |
| საკუთრების საერთო მდგომარეობა მისაღებია | დიახ/არა | |
| საკუთრება შეესაბამება განაცხადს | დიახ/არა | |
| აქტივები შეესაბამება განაცხადს | დიახ/არა | |
| სამუშაო პირობები მისაღებია | დიახ/არა | |
| ინფრასტრუქტურაზე წვდომა უზრუნველყოფილია(გზა, ელექტროენერგია, წყალი) | დიახ/არა | |
| სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებთან შესაბამისობა | დიახ/არა | |
| საერთო შეფასება დამაკმაყოფილებელია/ რეალობა შეესაბამება განაცხადს | დიახ/არა | |

- მოცემული საველე ვიზიტის მიზანი არის განაცხადში მითითებული ინფორმაციის დადასტურება:
 - თუკი, განაცხადსა და ვერიფიკაციის საკონტროლო ვიზიტის შედეგებს შორის აღმოჩნდება მცირე შეუსაბამობები, განაცხადის შინაარსი შესაბამისად მოდიფიცირდება.
 - თუკი, გამოვლინდება ძირეული შეუსაბამობები, განაცხადებსა და შემოწმების საკონტროლო ვიზიტის შედეგებს შორის, FAO-მ შესაძლოა მიიღოს განაცხადის უარყოფის გადაწყვეტილება.
- თუკი FAO მოითხოვს განაცხადის კორექტირებას, განმახორციელებელი პარტნიორი დახმარებას გაუწევს განმცხადებელს, შეიმუშაოს და შეცვალოს განაცხადი საგრანტო სახელმძღვანელოს შესაბამისად.



- თუკი განაცხადი ბადებს ექვებს მის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, განმახორციელებელ პარტნიორს შეუძლია შესტავაზოს FAO-ს პროექტის უარყოფა, რომელიც, თავის მხრივ, დაადასტურებს მიღებულ გადაწყვეტილებას.
- მიწოდებული ინფორმაციის სისწორე და სისრულე არის განმცხადებლების პასუხისმგებლობა. სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, განმახორციელებელი პარტნიორი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს ყველა შესაბამის განმცხადებელს.

ტექნიკური შეფასება:

- მონაცემთა შემოწმების ვიზიტის შემდეგ, განაცხადის ტექნიკური განხილვა განხორციელდება FAO-ს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გრანტების ანალიტიკოსების მიერ, გრანტების მენეჯერისა და FAO-ს უფროსი აგრონომის ზედამხედველობით. მოცემული ტექნიკური გადახედვა მიზნად ისახავს შეამოწმოს განაცხადის შესაბამისობა მიმდინარე ციკლთან და საგრანტო სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან, ისევე როგორც პროექტის გონივრულობა ტექნიკური თვალსაზრისით. უფრო დეტალურად, ტექნიკური შეფასება უზრუნველყოფს, რომ:

| კრიტერიუმი: | დასკვნა | კომენტარი |
|--|------------------------|-----------|
| განაცხადი არის თანმიმდევრული და ინფორმატიული | დიახ/არა | |
| შემოთავაზებული ინვესტიცია არის ფერმის ზომისა და საქმიანობის შესაბამისი | დიახ/არა | |
| შემოთავაზებული ინვესტიცია არის წარმოებული კულტურის შესაბამისი | დიახ/არა | |
| განმცხადებელი ავლენს მინიმალურ ტექნიკურ ცოდნას | დიახ/არა | |
| ინვესტიციის აგრონომიული საჭიროება გამართლებულია | დიახ/არა | |
| შემოთავაზებულ ინვესტიციას აქვს ეკონომიკური, სოციალური ან გარემოსდაცვითი დადებითი გავლენა | დიახ/არა | |
| კომერციული საქმიანობა არ წარმოადგენს დიდ ეკოლოგიურ საფრთხეს | დიახ/არა | |
| პროექტი არ ბადებს ღრმა ექვებს ეკონომიკური მდგრადობის მიმართულებით | დიახ/არა | |
| არ გამოვლენილა ინტერესთა კონფლიქტი ან ექვები ეთიკური ნორმების მიმართულებით | დიახ/არა | |
| სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებისთვის, ბაღის მდგრადობა შეესაბამება ინვესტიციას | დიახ/არა/ შეუსაბამო | |



| | | |
|--|--------------------|--|
| ნულოვანი დამუშავების სათესებისათვის, განმცხადებელი აჩვენებს, რომ ის არ წვავს ჩალის ნარჩენებს თავის ფერმაში | დიახ/არა/შეუსაბამო | |
| ნულოვანი დამუშავების სათესებისათვის, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს წარმოებასთან შესაბამისი ტრაქტორი | დიახ/არა/შეუსაბამო | |
| წვეთოვანი სარწყავი სისტემებისათვის, განმცხადებელს აქვს წვდომა წყალზე ფერმის სიახლოვეს | დიახ/არა/შეუსაბამო | |
| ტრაქტორის კომპლექტებისთვის, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს წვდომა შესაბამის აგრეგატებზე | დიახ/არა/შეუსაბამო | |

- საგრანტო განაცხადები გაივლის ტექნიკური შეფასების ეტაპს პლატფორმაზე წარმოდგენილი წარდგენის თარიღისა და თანხების ხელმისაწვდომობის შესაბამისად.
- საგრანტო განაცხადები გაივლის ტექნიკური შეფასების ეტაპს და წარმატების შემთხვევაში პირდაპირ გადაწყვეტილების მიღების ეტაპს მიაღწევს.

შედეგი: განხილულ იქნა განაცხადების პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობა, ჩატარდა საველე ვიზიტი, და განხორციელდა განაცხადის ტექნიკური განხილვა, რამაც გამოიწვია შესაძლო ცვლილებები, ან განაცხადის უარყოფა.

IV ფაზა: განაცხადების შერჩევა

- საბოლოო საინვესტიციო მხარდაჭერის გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადების განხილვის კომიტეტი. დამოუკიდებელი კომიტეტის წევრები იქნებიან FAO-ს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები. თითოეული კომიტეტის წევრი ფლობს ერთ ხმას თანამონაწილეობითი გრანტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. FAO-ს მოთხოვნის საფუძველზე, დამკვირვებლის სტატუსით, მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ პარტნიორი და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრებმა, ან სხვა შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.
- განაცხადების შეფასების კომიტეტს შეუძლია დაამტკიცოს, უარყოს, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები ან დაამატოს პირობები განაცხადის დამტკიცებისათვის. ინვესტიციის დამტკიცების საბოლოო გადაწყვეტილება კოლეგიალურად უნდა იქნას მიღებული აპლიკაციების განხილვის კომისიის სამივე წევრის შეთანხმებით (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ევროკავშირის დელეგაციისა და FAO-ს წარმომადგენლები).



- მომზადდება განაცხადების განხილვის კომიტეტის სხდომის ოქმები. თითოეულ განაცხადებაზე დაიწერება შერჩევის ან უარყოფის ახსნა-განმარტებითი მიზეზები. მოთხოვნის შემთხვევაში, განმცხადებლებს გადაეცემათ წერილობითი რეკომენდაციები.
- საგრანტო განაცხადების დამტკიცების შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება საბოლოო და შეუქცევადია. განაცხადების განხილვის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება გასაჩივრებას. თუმცა, FAO, ორგანიზაციის ეთიკური ვალდებულებების შესაბამისად, ისწრაფვის უზრუნველყოს საგრანტო პროცესის მართვის ყველაზე გამჭვირვალე მიდგომა. FAO-ს საქართველოს ოფისმა ჩამოაყალიბა საჩივრების განხილვის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს FAO-ს პროგრამის ბენეფიციარებთან გამჭვირვალე, ეფექტური და დროული მექანიზმით კომუნიკაცია, იმისათვის რომ მათ მიეცეთ თავიანთი უკუკავშირისა და დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება. დამატებითი დეტალები საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ პროგრამის [ვებ-გვერდზე](#).
- განაცხადების შერჩევისას, FAO-ს შეუძლია მოითხოვოს დამატებით ინფორმაცია განმცხადებლისგან იმისათვის, რომ მოხდეს სრულყოფილი საბაზისო ინფორმაციის შეგროვება.
- გაგზავნილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტაცია არ დაუბრუნდება განმცხადებელს, თუმცა, არც სხვა უწყებებს არ გადაეცემა, განმცხადებლის ფორმალური დასტურის გარეშე.

შედეგი: განაცხადების განხილვის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ. მომზადებულია შეხვედრის ოქმი.

V ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების შემუშავება და ხელმოწერა

1. ინვესტიციის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება:

- შერჩევისას, მომავალ ბენეფიციართან ერთად, FAO განიხილავს განაცხადში შემოთავაზებული ინვესტიციის ვადებს და განსაზღვრავს ინვესტიციის განხორციელების გეგმას, რომელიც მოიცავს:
 - ა) სამუშაოების და საქმიანობის განხორციელების სქემა, მათ შორის კონკრეტული ეტაპები, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს ბენეფიციარის მიერ საჭიროების მიხედვით;
 - ბ) მხარდაჭერის მოდლობა (საგრანტო დახმარება, FAO-ს მიერ გაწეული ტექნიკური დახმარება ან ორივე), ეფექტურობის და ეფექტიანობის გათვალისწინებით;



გ) შესაბამისი საგრანტო განაცხადის დამტკიცებული ბიუჯეტი, მათ შორის შესასყიდი აღჭურვილობების დეტალური ჩამონათვალი, ინვესტიციების დაფინანსების დეტალები (თანამონაწილეობრივი გრანტი, განმცხადებლის კონტრიბუცია, წახალისებული საინვესტიციო შემთხვევები და შესაბამისი მომწოდებლები);

დ) გრანტის ჩარიცხვის გრაფიკი, რომელშიც გადახდები განპირობებულია საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული ნაბიჯების მიღწევით. ჩარიცხვის გრაფიკი მორგებული იქნება თითოეულ ინვესტიციაზე, ინვესტიციის განხორციელებისათვის საჭირო საფეხურების შესაბამისად;

ბენეფიციარი სრულად არის პასუხისმგებელი დატკიცებული ინვესტიციის სწორად განხორციელებაზე.

2. სესხის მიღება:

იმ შემთხვევაში, როდესაც თანადაფინანსება საბანკო სესხით ხდება და ეს სესხი ჯერ არ არის დამტკიცებული, FAO ბენეფიციარს გადასცემს მოგებული გრანტის შესახებ დამადასტურებელ წერილს სესხის განაცხადის მხარდასაჭერად. ბანკიდან სესხის გაცემის შესახებ დამადასტურებელი წერილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბენეფიციარის თანამონაწილეობისათვის საჭირო გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი საბუთი. ბანკიდან მიღებული სესხის დამტკიცების წერილი წარმოდგენილი იქნება, როგორც ბენეფიციარის თანადადაფინანსების შესაძლებლობის დამადასტურებელი დამხმარე დოკუმენტი და ის იქნება საინვესტიციო მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერის წინაპირობა.

3. საგრანტო ხელშეკრულება:

სათანადოდ მომზადებული საგრანტო ხელშეკრულებაზე, რომელიც მოიცავს ზოგად პირობებს, დამტკიცებულ ბიუჯეტს, შესასყიდი აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს და ინვესტიციის განხორციელების გეგმას, მთავარი ხელმომწერები არიან FAO და პროგრამის ბენეფიციარი. პირველადი განმცხადებელი უნდა იყოს ხელშეკრულების ხელმომწერი. ნებისმიერი განსხვავებული მდგომარეობა უნდა იყოს გამართლებული ფორს მაჟორული სიტუაციით და განხილული უნდა იყოს FAO-ს მიერ ხელმოწერამდე.

საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერით, განმცხადებელი იღებს ვალდებულებას შეინახოს და მოუაროს მხარდაჭერილ აღჭურვილობას (სათადარიგო ნაწილების ჩათვლით) ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში. განმცხადებელი, ასევე, იღებს ვალდებულებას დაიცვას ღია კარის პოლიტიკა და ხელი შეუწყოს FAO-ს მიერ მის დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების ჩატარებას.



გრანტიორის ვალდებულებები, ასევე, მოიცავს მონაწილეობას FAO-ს მიერ განხორციელებულ ტექნიკური დახმარების აქტივობებში, მისი გეოგრაფიული რეგიონისა და საქმიანობის სფეროს შესაბამისად.

საინვესტიციო მხარდაჭერის წარმართვა მოხდება FAO-ს მიერ, FAO-ს სახელმძღვანელოს, საგრანტო ხელშეკრულებისა და FAO-ს ყველა სხვა დადგენილი წესის შესაბამისად.

შედეგი: საგრანტო ხელშეკრულება მომზადდა მომავალი გრანტის მიმღებთან თანამშრომლობით, ასევე, შედგა დეტალური ინვესტიციის განხორციელების გეგმა, დამტკიცებული ბიუჯეტი და შესასყიდი აღჭურვილობის დეტალური ჩამონათვალი. თუკი ბენეფიციარის კონტრიბუციის დაფარვა მოხდება სესხით, კომიტეტის შეხვედრის ოქმის ასლი შესაძლოა გაეგზავნოს განმცხადებელს. გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ საგრანტო ხელშეკრულებას ხელს აწერენ გრანტის მიმღები და FAO. განმცხადებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულებაში აღწერილი ვალდებულებები ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი თვის მანძილზე. თუკი მოცემულ პერიოდში ბენეფიციარის მხრიდან ვალდებულებები არ შესრულდება, FAO იტოვებს უფლებას შეწყვიტოს საგრანტო ხელშეკრულება ცალმხრივად, როგორც ეს მოცემულია საგრანტო ხელშეკრულების დებულებებში.

VI ფაზა: გრანტის გადახდა

შესაბამისი გრანტის გადახდა განხორციელდება უშუალოდ მიმწოდებლის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც მოხდება ბენეფიციარის მიერ გრანტის თანამონაწილეობის გადახდა და ტექნიკის ეფექტური მიწოდება. ნივთების გადაცემის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს გრანტის მიმღებსა და მომწოდებელს შორის, რომელსაც დაამოწმებს განმახორციელებელი პარტნიორი ან FAO-ს წარმომადგენელი და იქნება ატვირთული პლათფორმაზე. აღჭურვილობის წარმატებით შესყიდვისა და ხელმოწერილი ჩაბარების ფორმის მიღების შემდეგ, FAO გადაუხდის მის წილს მომწოდებელს, შეფერხების გარეშე.

FAO გადახდას ყოველთვის განხორციელებს მხოლოდ პირდაპირ მომწოდებლის ანგარიშზე, გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა.

გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, იმპორტის ხანგრძლივი შეფერხებები), საგრანტო კონტრიბუცია შესაძლოა გაიცეს საგრანტო განაცხადის წარდგენის შემდეგ, თუმცა გრანტის დამტკიცებამდე, იმ პირობით, რომ დანახარჯები, რომელიც გადახდილი იყო, შეესაბამებოდა თავდაპირველ საგრანტო ბიუჯეტს. თუმცა, ასეთი ვადამდელი გადახდა უნდა იქნას



განხილული და დამტკიცებული FAO-ს მიერ გადახდამდე, იმისათვის რომ ის ჩაითვალოს საგრანტო კონტრიბუციად. შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურები და მიწოდების ფორმები მოთხოვნილი იქნება, როგორც დამხმარე დოკუმენტი მანამ, სანამ FAO გადაუხდის თანხას მომწოდებელს გაწეული ხარჯების ანაზღაურებისათვის.

FAO-ს რეგულაციების თანახმად, გადახდა აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში მოხდება გადახდის მომენტში არსებული გაეროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად⁴.

მრავალჯერადი ტრანშის გადახდის შემთხვევაში, შემდგომი ტრანშების გადახდა დაექვემდებარება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ წინა ეტაპების ვალიდაციას ინვესტიციის განხორციელების ვიზიტების დროს, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი შემდეგ ნაწილში.

შედეგი: გრანტის ბენეფიციარის წილის გადახდის დამადასტურებელი საბუთის მიღებისა და ხელმოწერილი ჩაბარების დოკუმენტის საფუძველზე, FAO განახორციელებს პირველ გადახდას უშუალოდ მომწოდებლის ანგარიშზე.

VII ფაზა: ეტაპობრივი მიღწევები და ინვესტიციის შეფასების ვიზიტები

მექვე ფაზასთან ერთდ, ეტაპობრივი ინვესტიციების შემთხვევაში, განმახორციელებელი პარტნიორი ჩაატარებს ინვესტიციის ჩაბარების მონიტორინგის ვიზიტებს ბენეფიციარების ინვესტიციასთან შესაბამისობისა და ეტაპობრივი მიღწევების ამოცანების შესამოწმებლად, ყოველ განხორციელებულ გადახდამდე (რომელიც შეიძლება გაერთიანდეს ზემოქმედების შეფასების ვიზიტთან). პირველი ვიზიტი უნდა ჩატარდეს პირველ გადახდასთან დაკავშირებული აღჭურვილობის მიწოდების დროს.

მრავალჯერადი დამონტაჟების შემთხვევაში, განმახორციელებელი პარტნიორი ჩაატარებს ერთ ვიზიტს ყოველი საეტაპო მიზნის მიღწევის შემდეგ. ეტაპების მიღწევა უნდა იყოს წერილობით დამოწმებული „საეტაპო დადასტურების ანგარიშში“ საგრანტო ხელშეკრულებაში დაგეგმილ თითოეულ გადახდამდე. FAO-მ შესაძლოა გადაამოწმოს ან განახორციელოს ადგილზე შემოწმება პროგრესისა და მნიშვნელოვანი მიღწევების გაზომვის მიზნით.

განმახორციელებელი პარტნიორი ანგარიშს წარუდგენს FAO-ს საგრანტო შეთანხმებაში განსაზღვრული გრაფიკისა და/ან პირობების მოსალოდნელი შეფერხებების თაობაზე. საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბენეფიციარის ინიციატივით ნებისმიერი

⁴ გაცვლითი კურსის შესახებ გაერო ინფორმაცია აქვეყნებს ამ მისამართზე:
<https://treasury.un.org/operationalrates/OperationalRates.php#I>



სახის ცვლილებების შესახებ მოთხოვნა ფორმალურად უნდა იყოს დამტკიცებული FAO-ს მიერ წერილობითი ფორმით, როგორც მითითებულია საგრანტო ხელშეკრულების დებულებაში.

მოცემული ვიზიტების მთავარი მიზანია საინვესტიციო გეგმის სწორად შესრულების შემოწმება.

შედეგი: საგრანტო თანხის საფეხურებად/ტრანშებად მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში, ეტაპობრივი საინვესტიციო აქტივობების განხორციელება დამოწმებულია განმახორციელებელი პარტნიორის მიერ სავსე ვიზიტის საფუძველზე, საგრანტო თანხის FAO-ს წილის ყოველი მომდევნო გადარიცხვის წინ.

VIII ფაზა: მონიტორინგი და პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესახებ შეფასების ვიზიტები

დადებითი ზემოქმედების შეფასების მიზნით, განმახორციელებელი პარტნიორი ჩაატარებს წელიწადში მინიმუმ ერთ ვიზიტს.

ეს ვიზიტები გამოყენებული იქნება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ, როგორც შესაძლებლობა გაუწიოს დახმარება და მისცეს რჩევები პროგრამის ბენეფიციარებს, რათა გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა და უზრუნველყონ ეფექტური ბიზნეს ოპერაციების დანერგვა და, ასევე, შეაგროვონ განახლებული საბაზისო მონაცემები. გარდა ამისა, გრანტის მიმღებლებს შეატყობინებენ სხვა ახალი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ, როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო.

საინვესტიციო აქტივობებისა და მონიტორინგის ვიზიტების შემდგომი შემოწმების მიზნით, FAO ან მისი განმახორციელებელი პარტნიორი აღრიცხავს და შეინახავს ინფორმაციასა და მონაცემებს, რომლებიც შეგროვდება თითოეული ინვესტიციის სტატუსის შესახებ ინდივიდუალურად. მოცემული ინფორმაცია, ისევე როგორც FAO-ს მიერ განხორციელების შესახებ არსებული ზოგადი ინფორმაცია, დაბრკოლებები და აღმოჩენილი გადაწყვეტილებები, მიღწევები და გამოწვევები შეჯამდება პროგრამის მიერ გამოყენებულ მონიტორინგისა და შეფასების სპეციალურ პროგრამაში. ეს მონაცემები მოიცავს ინფორმაციას ბენეფიციარის ბიზნესის მდგომარეობის შესახებ, როგორც გრანტის გაცემამდე, ასევე მის შემდეგ.

FAO ან განმახორციელებელი პარტნიორის ორგანიზაციის გუნდი პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა შეგროვებასა და თითოეული ბენეფიციარისთვის პროგრამის მონიტორინგზე, და მის შედარებაზე კონკრეტული პერიოდისათვის დადგენილ მიზნებსა და ამოცანებთან. იმ



შემთხვევაში თუ განმახორციელებელი პარტნიორი დაადგენს, რომ ბენეფიციარი არის "მაღალი რისკის" შემცველი, დასახული ამოცანების შეუსრულებლობის გამო, ან იმის გამო რომ გააჩნია ფინანსური პრობლემები, არასაკმარისი მართვისა და კონტროლის სისტემები, ან ვერ ჯდება გრანტის ვადებსა და პირობებში, განმახორციელებელი პარტნიორი აცნობებს FAO-ს, რის შემდეგაც იგი მიიღებს მითითებას საჭირო ზომების მისაღებად. მიღებული ზომები შეიძლება მოიცავდეს შეთანხმებაში ცვლილების შეტანას, მის დროებით შეჩერებას, ან შეწყვეტას სრულად ან ნაწილობრივ.

შედეგი: რეგულარული თანმიმდევრული ვიზიტები ხორციელდება FAO-ს ან განმახორციელებელი პარტნიორის მიერ, რათა შეგროვებული იქნას ინფორმაცია და მონაცემები FAO-სთვის პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და ბენეფიციარისთვის საჭიროებებისა თუ გამოწვევების გამოსავლენად.

შენიშვნა: მოცემული საგრანტო სახელმძღვანელო მომზადებულია როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე. თარგმანში რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.